UDC 339.15
SCOPUS CODE 1406
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-1-142-146

საზოგადოებრივი ურთიერთობების (PR) როლის გაძლიერება სახელისუფლებო ინსტიტუციებში

ელენე მარგალიტაძე საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: margalitadzeelene@yahoo.com

ოთარ ბაღათურია საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: otar.baghaturia@gmail.com

რეცენზენტები:

ბ. შერაზადიშვილი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საჯარო მმართველობის აკადემიური დოქტორი
E-mail: b.sherazadishvili@gtu.ge

ლ. ამილახვარი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, დოქტორი
E-mail: liza.a.1911@gmail.com

ანოტაცია. სახელისუფლებო ინსტიტუციებში პიარის როლის გაძლიერება მნიშვნელოვან შედეგებს იძლევა, რაც თანამედროვე ინფორმაციული და კომუნიკაციური მოთხოვნების პირობებში აუცილებელია. პიარის ეფექტიანად გამოყენება არა მხოლოდ უწყებებში ზრდის გამჭვირვალობას, არამედ საზოგადოების ნდობისა და ხელისუფლების გავლენის გაძლიერებასაც ემსახურება.

პიარი, როგორც მმართველობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მიზნად ისახავს საზოგადოების ინფორმირებულობის, ნდობისა და ჩართულობის გაზრდას. სახელისუფლებო ინსტიტუციებში პიარის როლის ეფექტური დანერგვა აუცილებელია, რათა ინსტიტუტებმა შეძლონ საზოგადოებასთან კონსტრუქციული დიალოგის წარმოება და მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინება. თანამედროვე საზოგადოებაში, სადაც ინფორმაციის სისწრაფე და სანდოობა კრიტიკულ მნიშვნელობას ატარებს, სახელმწიფო სტრუქტურებისთვის პიარი უკვე არა მხოლოდ ინფორმაციის გამტარი საშუალებაა, არამედ სტრატეგიული ინსტრუმენტი მმართველობის გამჭვირ-

ვალობისა და ლეგიტიმურობის გასაძლიერებლად.

განხილულია, თუ როგორ შეიძლება პიარის ინსტიტუციური როლის გაძლიერება, რა მეთოდებს შეიძლება დაეყრდნოს სახელმწიფო სტრუქტურები და რა შედეგებს შეიძლება ველოდოთ ამ პროცესისგან. პიარის ინსტიტუციური როლის გაძლიერება მოიცავს მენეჯმენტისა და საკომუნიკაციო სტრატეგიების განახლებას, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას და საზოგადოებრივი ნდობის ზრდას, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს ეფექტიან მმართველობას და გრძელვადიან სტაბილურობას.

საკვანძო სიტყვები: დემოკრატიული მმართველობა; პიარის ეფექტიანობა; საზოგადოებასთან ურთიერთობა; საჯარო მმართველობა.

შესავალი

პიარი, როგორც მმართველობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მიზნად ისახავს საზოგადოების ინფორმირებულობის, ნდობისა და ჩართულობის გაზრდას. სახელისუფლებო ინსტიტუციებში პიარის როლის ეფექტური დანერგვა აუცილებელია, რათა ინსტიტუტებმა შეძლონ საზოგადოებასთან კონსტრუქციული დიალოგის წარმოება და მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინება. თანამედროვე საზოგადოებაში, სადაც ინფორმაციის სისწრაფე და სანდოობა კრიტიკულ მნიშვნელობას ატარებს, სახელმწიფო სტრუქტურებისთვის პიარი უკვე არა მხოლოდ ინფორმაციის გამტარი საშუალებაა, არამედ სტრატეგიული ინსტრუმენტია მმართველობის გამჭვირვალობისა და ლეგიტიმურობის გასაძლიერებლად.

ძირითადი ნაწილი

1. სახელისუფლებო ინსტიტუტებში პიარის როლის მნიშვნელობა. სახელისუფლებო პიარის მთავარი მიზანია უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირებულობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე, ასევე შექმნას ღია პლატფორმა დისკუსიისთვის.

პიარის როლი სახელისუფლებო ინსტიტუციებში განისაზღვრება შემდეგი კომპონენტებით:

– ინფორმაციის გამჭვირვალობა. მოქალაქეებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და სწრაფად გავრცელება მნიშვნელოვანია, რათა ჰქონდეთ ობიექტური და დროული ინფორმაცია სახელისუფლებო ქმედებებისა და გადაწყვეტილებების შესახებ.

– საზოგადოების ნდობა. გამართული და ღია კომუნიკაცია ზრდის ნდობას ხელისუფლების მიმართ, რაც სოციალური სტაბილურობისა და მმართველობის ლეგიტიმურობის მხარდაჭერას უზრუნველყოფს.

– კრიზისების მართვა. პიარი კრიზისულ სიტუაციებში ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი იარაღია, რათა დაიცვას თავისი რეპუტაცია და გაუმკლავდეს საზოგადოებრივ შეშფოთებას.

2. პიარის როლის გაძლიერების სტრატეგიები სახელისუფლებო ინსტიტუტებში. პიარის როლის გაძლიერების რამდენიმე მექანიზმი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელისუფლებო ინსტიტუციებში:

– ინსტიტუციური მენეჯმენტის როლის გაზრდა. სახელისუფლებო ინსტიტუტებში პიარი უნდა მიიჩნეოდეს სტრატეგიულ ინსტრუმენტად, რომელიც მმართველობის ყველა დონეზე ინტეგრირდება. ეს ნიშნავს, რომ პიარის დეპარტამენტები ჩართული უნდა იყოს სახელმწიფო პოლიტიკის და-

გეგმვასა და განხორციელების პროცესში. წარმატებული კომუნიკაცია არა მხოლოდ გადაწყვეტილებების მიღების შემდგომი პროცესია, არამედ სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ამ გადაწყვეტილებების ლეგიტიმაციისთვის;

– საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა. სახელისუფლებო ინსტიტუტების წარმატება დიდწილად დამოკიდებულია საზოგადოებრივი ჩართულობის ხარისხზე. პიარის როლის გაძლიერება მოიცავს მოქალაქეებთან აქტიური და უწყვეტი დიალოგის დამყარებას, საზოგადოების მოსაზრებებისა და მოლოდინების გაგებას. სოციალური მედიის გამოყენება, კვლევები და აქტიური კონსულტაციები მოსახლეობასთან ამ პროცესს გაძლიერებს;

– ტექნოლოგიების გამოყენება კომუნიკაციის პროცესში. თანამედროვე ტექნოლოგიები პიარის როლის კიდევ უფრო გაძლიერების შესაძლებლობას გვაძლევს. ციფრული პლატფორმების, სოციალური მედიისა და ონლაინკომუნიკაციის გამოყენება მნიშვნელოვანია, რათა ინსტიტუციებმა სწრაფად და ეფექტიანად შეძლოს საზოგადოების ინფორმირება. ანალიტიკური ინსტრუმენტები და მონაცემთა ანალიზი ამ პროცესს დაეხმარება იმაში, რომ კომუნიკაცია იყოს უფრო მიზანმიმართული და შედეგზე ორიენტირებული;

– ტრენინგები და კვალიფიკაციის ამაღლება. პიარის სპეციალისტები რეგულარულად უნდა მონაწილეობდნენ ტრენინგებში, ცოდნის, ახალი საკომუნიკაციო მეთოდებისა და ტენდენციების განახლების მიზნით. ეს მათ საშუალებას მისცემს ეფექტურად (და პიარის შემთხვევაში შესაბამისად ეფექტიანადაც) გაუმკლავდნენ როგორც ჩვეულებრივ საკომუნიკაციო ამოცანებს, ისე კრიზისულ სიტუაციებს, სადაც მნიშვნელოვანია პრიორიტეტების მართვა და სწორი კომუნიკაცია.

3. შედეგები და გავლენა. სახელისუფლებო ინსტიტუციებში პიარის როლის გაძლიერება პირდაპირ გავლენას ახდენს როგორც მმართველობის ეფექტიანობაზე, ისე საზოგადოების ნდობასა და სტაბილურობაზე. პიარის როლის სწორად ინტეგრირების შედეგები:

– ნდობისა და ლეგიტიმაციის გაზრდა. გამჭვირვალე და ეფექტური კომუნიკაცია ხელს უწყობს საზოგადოების ნდობის ზრდას სახელისუფლებო ინსტიტუციების მიმართ. ნდობა კი კრიტიკულად მნიშვნელოვანია მმართველობის ეფექტიანობისთვის, რადგან, რაც უფრო მაღალია საზოგადოების ნდობა, მით უფრო ლეგიტიმურია ხელისუფლების გადაწყვეტილებები და ქმედებები;

– გაუმჯობესებული საზოგადოებრივი დიალოგი და ჩართულობა. პიარის როლის გაძლიერება ხელს უწყობს უფრო ღია და ეფექტიან საზოგადოებრივ დიალოგს, რაც, თავის მხრივ, ზრდის საზოგადოების ჩართულობას სახელმწიფო პოლიტიკაში. ეს არა მხოლოდ ამაღლებს სახელმწიფო გადაწყვეტილებების ხარისხს, არამედ აძლიერებს სამოქალაქო თვითშეგნებას და გააზრებულ ლოიალობას დემოკრატიული სისტემის მიმართ;

– კრიზისების მართვის გაუმჯობესება. კრიზისულ სიტუაციებში კარგად განვითარებული პიარის სტრატეგიები სახელისუფლებო ინსტიტუტებს საშუალებას აძლევს სწრაფად და სწორი ფორმით მოახდინოს რეაგირება, რაც ამცირებს პანიკისა და დეზინფორმაციის გავრცელების რისკს; ზრდის

კრიზისების მართვის ეფექტიანობას, როდესაც საზოგადოება დროულად იღებს სწორ ინფორმაციას ხელისუფლებისგან.

დასკვნა

სახელისუფლებო ინსტიტუტებში პიარის როლის გაძლიერება არა მხოლოდ კომუნიკაციის გაუმჯობესებას ემსახურება, არამედ სტრატეგიული ინსტრუმენტია, რომელიც აძლიერებს ნდობას, ლეგიტიმაციასა და მმართველობის ეფექტიანობას. თანამედროვე მსოფლიოში, სადაც ინფორმაციის სწრაფი გადაცემისა და სოციალური ჩართულობის მექანიზმები კრიტიკულ როლს ასრულებს, აუცილებელია სახელმწიფო ინსტიტუციებმა ყურადღება მიაქციოს პიარის როლის გაძლიერებას, რათა სტაბილური და ლეგიტიმური მმართველობის სისტემა შეიქმნას.

ლიტერატურა

1. Brun, G., Catlip, S., & Senter, a. (2010). Introduction to Public Relations. Tbilisi.
2. Bichashvili, m. (2006). The political theory and practice of analysis. Tbilisi.
3. Bagaturia, G., Bagaturia, O., (2009) Strategic planning in public management and business tasks. Tbilisi.
4. Cutlip S. M., Glen, Broom & Center A. H. (2007). Effective Public Relations.
5. Dennis L. Wilcox, Glen T. Cameron, Bryan H. & Jae-Hwa Shin; (2013). Think – Public relations, New York.
6. Gamson, W. A. (1998). Promoting Political Engagement. New York.

UDC 339.15
SCOPUS CODE 1406
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-1-142-146

Enhancing the Strategic Role of Public Relations in Government Institutions

Elene Margalitadze Department of public administration and electronic business, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: margalitadzeelene@yahoo.com

Otar Baghaturia Department of public administration and electronic business, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: mai

Reviewers:

B. Sherazadishvili, Associated Professor,faculty of business technology ,academic doctor of public administration, GTU
E-mail: b.sherazadishvili@gtu.ge

L. Amilakhvari, Associated Professor, faculty of business technology, doctor, GTU
E-mail: liza.a.1911@gmail.com

Abstract. Enhancing the role of public relations (PR) within government institutions yields significant positive outcomes, particularly in meeting the demands of today's dynamic information and communication environment. Effective PR not only promotes greater transparency within agencies but also fosters increased public trust.

Public relations play a critical role in governance, aiming to enhance public awareness, trust, and engagement. Effective PR within government institutions is essential for fostering constructive dialogue with the public and incorporating citizens' interests into decision-making processes. In today's fast-paced, information-driven society, where both speed and reliability are paramount, PR serves not only as a channel for disseminating information but also as a strategic instrument for bolstering transparency and reinforcing the legitimacy of governance.

This article explores strategies for strengthening the institutional role of PR, the methods government bodies should employ, and the anticipated results of this process. Strengthening PR's institutional role involves updating management and communication strategies, improving employee skills, and fostering public confidence—all of which contribute to more effective governance and long-term stability.

Keywords: entropic coding democratic governance; PR effectiveness; public administration; public relations.

განხილვის თარიღი 22.10.2024
შემოსვლის თარიღი 21.11.2024
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.03.2025